

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №3/179

2006 წ. 07 ივლისი

ქ. თბილისი

“საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის “ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ” მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში არსებული სამთავრობო რეზიდენციისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების ნაწილში ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მოთხოვნათა, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში არსებულ სამთავრობო რეზიდენციას არ გააჩნია კულტურის ძეგლის მახასიათებელი ნიშნები, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე მუხლის შესაბამისად,

ებრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანება ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენციისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების ნაწილში (ბრძანების დანართი, რიგითი ნომერი №3918).
2. ბრძანება გამოქვეყნდეს, საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“.
3. დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს, უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნებისათვის საჭირო თანხების გამოყოფა.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს – ნიკოლოზ ვაჩეიშვილს.
5. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი დავით სარაჯიშვილის ქუჩა №1<sup>ბ</sup>)

მინისტრი

გ. გაბაშვილი